კანდიდატების შეფასების კრიტერიუმები

საქართველოს კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისთვის, მატერიალური თვალსაზრისით, ორ სავალდებულო მოთხოვნას განსაზღვრავს: კანდიდატი უნდა იყოს ა) აღიარებული სპეციალისტი; ბ) სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით.

კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ ამ მოთხოვნების შეფასების ინდიკატორებზე: კანდიდატისთვის წაყენებული მოთხოვნა, რომ იყოს აღიარებულ სპეციალისტი, გულისხმობს მის დადასტურებულ პროფესიულ კომპეტენციას, რომელიც უნდა შეფასდესშემდეგი 6 ინდიკატორით:

1. **საკითხის ცოდნა და მისდამი მგრძნობელობა** - რამდენად ზუსტი ცოდნა აქვს კანდიდატს მართლმსაჯულების სისტემის მოწყობაზე, ბოლო წლებში განხორციელებულ რეფორმებზე, სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლსა და კომპეტენციებზე.
2. **გამოწვევების გადაწყვეტის გზები** - როგორია კანდიდატის ხედვა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და სისტემის გასაუმჯობესებლად.
3. **მოტივაცია და მოლოდინი** - რამდენად კარგად და რეალისტურად იაზრებს კანდიდატი იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ექნება საბჭოში დანიშვნის შემთხვევაში. რა არის კანდიდატის მოტივაცია, რატომაც სურს საბჭოს წევრობა.
4. **აკადემიური და კვლევითი გამოცდილება** - კანდიდატს რამდენად აქვს რელევანტური პროფესიული/აკადემიური/კვლევითი გამოცდილება და როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას შერჩევის შემთხვევაში.

5. **პროფესიული მიღწევები** - რელევანტური პროფესიული მიღწევები/შედეგები, რომელიც კანდიდატს მნიშვნელოვნად მიაჩნია და რომელიც რელევანტური შეიძლება იყოს მართლმსაჯულების სისტემის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.
6. **საჯარო კომუნიკაციის უნარები** - კანდიდატის უნარი, საზოგადოებასთან თუ ზოგადად, საჯარო კომუნიკაციის დროს პოზიციის დაფიქსირების დროს დაიცვას კოლეგიალურობა, პროფესიული, თუმცა ამავდროულად, საზოგადოებისთვის გასაგები ენით გადმოსცეს სათქმელი.

კანდიდატისთვის წაყენებული მოთხოვნა, რომ სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით, გულისხმობს მის კეთილსინდისიერებას და ამ კომპონენტის შეფასება შესაძლებელია შემდეგი 3 ინდიკატორით:

1. **დამოუკიდებლობა** - რამდენად დამოუკიდებელია კანდიდატი გარე ზეგავლენის ფაქტორებისგან. რამდენად მედეგია როგორც შესაძლო ზეწოლის, ისე იმგვარი პოტენციური სარგებლის მიღების მიმართაც, რომელმაც მის გადაწყვეტილებებზე შეიძლება იქონიოს გავლენა.
2. **მიუკერძოებლობა** - რამდენად აქვს კანდიდატს უნარი, გადაწყვეტილებების მიღების დროს ობიექტურად შეაფასოს ვითარება და მიიღოს გადაწყვეტილება წინასწარი განწყობის გარეშე, საკითხისადმი ტენდენციურობისა და დაინტერესების გამორიცხვით.
3. **სამართლიანობა** - როგორია კანდიდატის აღქმები სამართლიანობაზე და რამდენად არის კანდიდატი სამართლიანი.

თითოეული ინდიკატორი ფასდება შემდეგი 3 კატეგორიით: 1. კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნას; 2) კანდიდატი აკმაყოფილებს მოთხოვნას; 3) კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დასანიშნად წარედგინება ყველა ის კანდიდატი, რომელზეც კომისიის წევრების ⅔-ი მაინც ჩათვლის, რომ ყველა ამ ინდიკატორს სრულად აკმაყოფილებს, ან აკმაყოფილებს.

კომისიამ კანდიდატების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრას და პრეზიდენტისთვის კანდიდატურის წარდგენის წესს ერთხმად დაუჭირა მხარი.